**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# მერემე

მერემე, სარემოს (საჯინიბოს) მოხელე, რემას მნე, ცხენის ჯოგის მწყემსი გაერთიანებულ ფეოდ. საქართველოში. მ. ექვემდებარებოდა მერემეთუხუცესს.

ერთიანი ფეოდ. საქართვ. მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობების კრებულის „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ხელმწიფის კარზე მ-ები მერემეთუხუცესის უკან იდგნენ.

*ლიტ.*: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი  ე., „ჴელმწიფის კარის გარიგება“, თბ., 1920; მ ე ტ- რ ე ვ ე ლ ი  ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003.

***ი. უჯმაჯურიძე***

---